ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის ნოემბრის 25.	№ 19 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 208. ა/კსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის შესახებ.

„ 209. დებულება კომუნალური მშენებლობისა და სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობისათვის გასაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდის შესახებ.

„ 210. დებულება მუშა-ხელისა და საშენი მასალის საცნობო ფასების შეკრეფისა და გამოქვეყნების წესის შესახებ.

„ 211. სახალხო მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების აღნუსხვის მოწყობის შესახებ.

„ 212. 1928-29 წლის პირველი ნახევარწლისათვის დაწესებულებასა და საწარმოში სპეციალისტთა შრომის სასყიდლის გასაცემად სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაარსების წესის შესახებ,

„ 213. სამუშაო ხელფასის კრედიტების მდგომარეობის თაობაზე ცნობების წარდგენის წესის შესახებ.

„ 214. ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო სოციალური წესით უზრუნველყოფის წესების შესახებ.

„ 215. 1927-28 წლის ბალანსების დამთავრების დროს ზედმეტი მუშაობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

„ 216. დიდი ქალაქ-ადგილების გარეშე მყოფ სახელმწიფო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მუშაობაში სპეციალისტთა ჩაბმისათვის ღონისძიების მიღების შესახებ.

„ 217. სასარეწაო კოოპერატიული ამხანაგობებისა და არტელებისათვის იმ უმუშევართა ხვედრი დახმარების გადაცემის შესახებ, რომელნიც შევლენ ამ ამხანაგობებსა და არტელებში.

„ 218. საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებასა და საწარმოსთან სოციალური დაზღვევისათვის შესატანი გადასახადის გამო ანგარიშის გასწორების წესის შესახებ.

„ 219. საინვალიდო დაწესებულებებში პენსიონერთა შენახვის გამო დამზღვევ სალაროთა შორის ხელახლად ანგარიშის გასწორების მოსსობის შესახებ.

„ 220. ა/კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის მოადგილედ ა. გ. რუხაძის დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 221. ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის „ა“ პუნ. დამატების შესახებ.

„ 222. სპეციალისტებისათვის ზე-მაქსიმალური ჯამაგირების მიცემის თაობაზე განცხადებების წარდგენის შესახებ.

„ 223. შრომის კონფლიქტების სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო წესით განხილვის წესების შეფარდების შესახებ.

„ 224. იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელნიც თავდაცვისა და საავიაციო-საქიმიო მშენებლობის მეგობართა საკავშირო საზოგადოების ლოტერეით მოიგებენ ადგილს სანატორიუმში ან სამოგზაურო, ჯამაგირის შეუნარჩუნებლად რიგს-გარეშე შვებულების მიცემის შესახებ.

„ 225. სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის საფუძველზე მომქმედი საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის კრედიტების მდგომარეობის თაობაზე ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში კვარტალური ცნობების წარდგენის გაუქმების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

208. ა/კსფსრ ქალაქებსა და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ბინის ქირისა და ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების სარგებლობის მოწესრიგების შესახებ“ 1926 წ. ივნისის 4-ს თარიღითა (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 44 №-რი, მუხ. 312), ხოლო „საბინაო პოლიტიკის შესახებ“ 1926 წ. იანვრის 4-ს თარიღით (სსრკ კან. კრ. 1928 წ. მე-6 №-რი, მუხ. 49) გამოცემული დადგენილებების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს გადასინჯონ აღნიშნულ რესპუბლიკებში დებულებანი ბინის ქირის შესახებ, რასაც საფუძვლად დაუდვან შემდეგი:

1. ძირითად განაკვეთად ერთეულისათვის, ე. ი. გამოსაყენებელი საცხოვრებელი სივრცის კვადრ. მეტრისათვის თვიურად (საბინაო ნიხრი) დაწესებულია:

ა) ტფილისისათვის—40 კაპ.

ბ) ბაქოსათვის—42 კაპ.

გ) ერევნისათვის—38 კაპ.

დანარჩენი ქალაქებისა და დასახლებულ ქალაქ-ადგილებისათვის საბინაო ნიხრი დაწესდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონმდებლობით; ამასთანავე, აღნიშნული ქალაქებისა და დასახლებული ქალაქ-ადგილებისათვის საბინაო ნორი შეიძლება შემცირებულ იქნეს სათანადო რეს-პუბლიკის დედა-ქალაქისათვის დაწესებულ განაკვეთთან შედარებით, ხოლო არა უმცირეს 26 კაპიკისა 1 კვადრ. მეტრზე.

2. ადგილმრივი საბჭო მოვალეა, გამოსაყენებელი საცხოვრებელი სივრ-ცის ერთეულისათვის დაწესებული ბინის ქირის ძირითადი განაკვეთის მიხედ-ვით, შეიმუშაოს და სამოქმედოდ შემოიღოს ბინის ქირის განაკვეთები საცხოვ-რებელი სადგომების შეფასებისათვის.

უკეთუ სახლში არ მოიპოვება კეთილმოწყობის ის ელემენტები, რაც ამა თუ იმ ქალაქში არსებობს, საცხოვრებელი სადგომების შეფასება შემცირებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონ-მდებლობის წესით, ხოლო არა უმეტეს:

ა) უკეთუ არ მოიპოვება ელექტრო-სინათლე 5%-სა;
ბ) „ „ „ წყალსადენი 10%-სა;
გ) „ „ „ კანალიზაცია . . . . . 10%-სა.

უკეთუ საცხოვრებელი სადგომები დაშორებულია ქალაქის ცენტრიდან, აგრეთვე ბნელია, ნახევრად ბნელი, სარდაფებშია და ნახევრად სარდაფებში, ამ სადგომების შეფასების პროცენტული შემცირება განისაზღვრება არა ნაკლებ, ვიდრე 10%-ს რაოდენობით, ა/კსფსრ შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონ-მდებლობის წესისამებრ.

უკეთუ სადგომი განსაკუთრებით კარგად არის მოწყობილი, რაც აღიდებს სათანადო გაწყობილობის ამორტიზაციის რაოდენობას და ამის გამო აძვირებს სადგომის ექსპლოატაციას, ნებადართულია დაწესებულ იქნეს ბინის ქირის ზედ-ნართი, ხოლო არა უმეტეს 5%-სა.

3. მუშათა და მოსამსახურეთათვის ბინის ქირის განსაზღვრის დროს და-წესებულ უნდა იქნეს გადამხდელთა კატეგორიები მინაღები სამუშაო საშოვრის მიხედვით. სახელდობრ:

ვინც სამუშაო საშოვარს იღებს	20 მანეთამდე		
„ „ „ „	21 მანეთიდან	30 მანეთამდე	
„ „ „ „	31 „	40 „	
„ „ „ „	41 „	50 „	
„ „ „ „	51 „	60 „	
„ „ „ „	61 „	70 „	
„ „ „ „	71 „	80 „	
„ „ „ „	81 „	90 „	
„ „ „ „	91 „	100 „	
„ „ „ „	101 „	110 „	
„ „ „ „	111 „	124 „	
„ „ „ „	125 „	145 „	
„ „ „ „	146 „	და მეტს.	

შენიშვნა. სამუშაო საშოვარის გამოანგარიშების დროს კაპიკები სა-თვალავში არ მიიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გადამხდელთა თვითეული ზემოაღნიშნული კატეგორიისათვის ბინის ქირის განაკვეთი განსაზღვრულ უნდა იქნეს შემდეგ საფუძველზე:

ა) ბინის ქირის ძირითადი განაკვეთი საცხოვრებელი სივრცის 1 კვადრ. მეტრზე (მუხ. 1) დაწესებულია იმ მუშისა და მოსამსახურისათვის, რომელსაც სამუშაო საშოვარი აქვს 126 მანეთიდან 145 მანეთამდე—ამრიცხვითურთ;

ბ) იმ მუშისა და მოსამსახურისათვის, რომელიც იღებს 20 მანეთამდე—ამრიცხვითურთ, ბინის ქირის განაკვეთი საცხოვრებელი სივრცის 1 მეტრზე დაწესებულია 5,5 კაპ. რაოდენობით ყველა ქალაქში;

გ) იმ მუშისა და მოსამსახურისათვის, რომელიც სამუშაო საშოვარს იღებს 21 მანეთიდან 30 მანეთამდე—ამრიცხვითურთ, ბინის ქირის განაკვეთი საცხოვრებელი სივრცის 1 მეტრზე დაწესებულია:

ქალ. ბ ა ქ ო შ ი —12 კაპ.
„ ტ ფ ი ლ ი ს შ ი —10 „
„ ე რ ი ვ ა ნ შ ი— 8 „

დ) იმ მუშისა და მოსამსახურისათვის, რომელსაც სამუშაო საშოვარი 31 მანეთიდან 125 მანეთამდე აქვს, დაწესებულია ბინის ქირის ძირითადი განაკვეთის (მუხ. 1) მონაკლები სამუშაო საშოვრის მიხედვით, ისეთი ანგარიშით, რომ მონაკლების რაოდენობა დიდდებოდეს სამუშაო საშოვრის შემცირებისადაკვალად;

ე) იმ მუშისა და მოსამსახურისათვის, რომელიც სამუშაო საშოვარს იღებს დაწყებული 145 მანეთიდან თვიურად, ბინის ქირის განაკვეთი თანდათან გადიდდება, ისე-კი, რომ 275 მან. რაოდენობის სამუშაო საშოვარზე ბინის ქირის განაკვეთი არ აღემატებოდეს 94 კაპ. 1 კვადრ. მეტრზე ქალ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში და 85 კაპ. 1 კვადრ. მეტრზე სხვა ქალაქებში; სამუშაო საშოვრის თვითეულ 25 მანეთზე, რაც მიღებულ იქნება 275 მან. ზედმეტად თვეში, ბინის ქირის განაკვეთი მუშისა და მოსამსახურისათვის გადიდდება 5,5 კაპიკით საცხოვრებელი სივრცის 1 კვადრ. მეტრზე, ხოლო იგი არ უნდა აღემატებოდეს 1 მან. და 32 კაპ. 1 კვადრ. მეტრზე თვიურად.

5. სახელმწიფო პენსიონერისა, სოციალურად უზრუნველყოფილი პირისა ან სოციალურ დაზღვევაზე მყოფი პირისათვის, რომელიც იღებს დახმარებას ან პენსიას არა უმეტეს 20 მან. რაოდენობისა თვიურად, იმ უმუშევარისათვის, რომელსაც დახმარების მიღების უფლება აქვს, წითელარმიელის ოჯახისათვის, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო არ მოეპოვება, აგრეთვე სახელმწიფო სასწავლებლის მოწაფისათვის, რომელიც სახელმწიფო სტიპენდიას იღებს ან განთავისუფლებულია სწავლის სასყიდლისაგან,—ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება იმავე საფუძველზე, როგორც მუშისა და მოსამსახურისათვის, რომელიც იღებს 20 მანეთამდე—ამრიცხვითურთ.

ამა მუხლში აღნიშნული წითელარმიელის ოჯახის წევრი ადგილობრივმა საბჭომ შეიძლება სრულიად განთავისუფლოს ბინის ქირისაგან.

6. სახელმწიფო პენსიონერისათვის, სოციალურად უზრუნველყოფილი პირისათვის ან სოციალურ დაზღვევაზე მყოფი პირისათვის, რომელიც იღებს დახმარებას ან პენსიას 20 მანეთზე მეტს თვიურად, ბინის ქირის განაკვეთი დაწეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება მისი ხვედრი დახმარების ან პენსიის მიხედვით, იმავე საფუძველზე, როგორც მუშისა და მოსამსახურისათვის.

7. მშრომელის რჩენაზე მყოფმა პირმა, რომელიც ცალკე სცხოვრობს, უნდა გადაიხადოს იმ დახმარების თანხის მიხედვით, რასაც იგი მის მარჩენალი პირისაგან იღებს, ხოლო არა-მშრომელთა კატეგორიის პირის რჩენაზე მყოფ პირისათვის ბინის ქირის განაკვეთი დაწესებულ უნდა იქნეს იმ პირის შემოსავლის რაოდენობის მიხედვით, ვის რჩენაზედაც იგე იმყოფება.

8. შინამრეწველისა და ხელოსნისათვის, რომელსაც დაქირავებული მუშები არა ჰყავს ან თუ ჰყავს—ერთი მუშა ან ორი შეგირდი, ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება მისი შემოსავლის რაოდენობის მიხედვით: 22 კაპიკიდან 1 მ. და 10 კაპიკამდე 1 კვად. მეტრზე ქალ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში და 66 კაპიკამდე 1 კვადრ. მეტრზე—ა/კსფსრ სხვა ქალაქებში.

9. იმ შინამრეწველისა და ხელოსნისათვის, რომელსაც ჰყავს ორი და მეტი მუშა ან სამი და მეტი შეგირდი, ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება მისი შემოსავლის რაოდენობის მიხედვით: 88 კაპიკიდან 1 მან.-დან 98 კაპიკამდე 1 კვად. მეტრზე ქალ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში და 1 მან. და 32 კაპიკამდე—ა/კსფსრ სხვა ქალაქებში.

10. სასარეწაო კოოპერატიული ამხანაგობისა (არტელის) და წესდებიანი შრომითი არტელის წევრს ბინის ქირა გადაჰხდება იმავე საფუძველზე, რაც დაწესებულია ამა დადგენილების მე-8 მუხლში აღნიშნული შინამრეწველებისა და ხელოსნებისათვის.

შენიშვნა 1. სათანადო ზემდგომ კოოპერატიულ შენაერთში შემავალი არტელის წევრი, რომელი არტელიც სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს შეკვეთით მუშაობს, ბინის ქირას გადაიხდის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დადგენილ საფუძველზე (მუხ. 3), უკეთუ იგი თავისი მუშაობისათვის იღებს განსაზღვრულ გასამრჯელოს და არტელის მოგებაში მონაწილე არ არის.

შენიშვნა 2. სასარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალი წარმოებითი არტელის წევრი, რომელიც საერთო სახელოსნოში მუშაობს, ბინის ქირას გადაიხდის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დადგენილ საფუძველზე (მუხ. 3), უკეთუ იგი თავისი მუშაობისათვის განსაზღვრულ გასამრჯელოს იღებს.

11. თავისუფალი პროფესიის პირისათვის ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება მისი შემოსავლის მიხედვით, რაც გამორკვეულ იქნება წინა წლის საშემოსავლო გადასახადის გასტუმრების დროს, ხოლო არა ნაკლებ საბინაო ნიხრისა (მუხ. 1) და არა უმეტეს 1 მან. და 98 კაპიკისა საცხოვრებელი სივრცის 1 მეტრზე თვიურად—ქალ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში და არა უმეტეს 1 მან. და 32 კაპიკისა 1 კვადრ. მეტრზე—ა/კსფსრ სხვა ქალაქებში.

შენიშვნა 1. უკეთუ თავისუფალი პროფესიის პირის შემოსავლის წყარო მხოლოდ მისი დაქირავებით მუშაობაა, ან უკეთუ თავისუფალი პროფესიის პირს, სახელმწიფო სამსახურის გარდა, აქეს არაპირდაპირი სამუშაო საშოვარი, თანაც, უკეთუ წინა საშენაწერო წლის ერთობილი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავალი სამსახურისა და არაპირდაპირი სამუშაო საშოვრისა არ აღემატა 400 მან. თვიურად, ეს პირნი ბინის ქირას გადაიხდიან მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დადგენილ საფუძველზე და განაკვეთით, ამასთანავე ბინის ქირა გამოიანგარიშება ერთობლივი რაოდენობით მიმდინარე თვეში (როცა ქირა უნდა იქნეს გასტუმრებული) მიღებული სამუშაო ხელფასისა და თავისუფალი პროფესიის იმ საშუალო თვიური შემოსავლისა, რასაც გამოარკვევს წინა წელში საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა.

შენიშვნა 2. მეცნიერების დარგში მომუშავეს, ლიტერატორს, სახვითი ხელოვნების დარგში მომუშავეს და კომპოზიტორს, რომელსაც სამუშაო საშოვარი ან შემოსავალი აქვს არა უმეტეს 400 მანეთისა,—შეეფარდება მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაწესებული ბინის ქირის განაკვეთი.

შენიშვნა 3. თავისუფალი პროფესიის ამა თუ იმ პირისათვის, რომელიც ასრულებს საზოგადოებრივ სამუშაოს სახელმწიფო ორგანოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის შეკვეთით, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლიან საცხოვრებელი სადგომის ქირა, გამონაკლისის სახით, განსაზღვროს მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დადგენილ საფუძველზე.

12. ვაჭრებისა და სხვა არა-მშრომელ პირთა კატეგორიებისათვის ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება მათი შემოსავლის რაოდენობის მიხედვით 1 მან. და 98 კაპიკიდან საცხოვრებელი სივრცის 1 კვადრ. მეტრზე თვიურად ქალ. ბაქოსა, ტფილისსა და ერივანში და 1 მან. და 32 კაპიკიდან 1 კვადრ. მეტრზე —ა/კსფსრ სხვა ქალაქებში; ამასთანავე ბინის ქირის სავალდებულო მაქსიმუმი აღნიშნული კატეგორიებისათვის დაწესდება 4 მან. და 40 კაპ. რაოდენობით 1 კვადრ. მეტრზე და 2 მან. და 20 კაპ. რაოდენობით 1 კვად. მეტრზე—ა/კსფსრ სხვა ქალაქებში.

შენიშვნა 1. ის პირი, რომელიც 1-ლი კატეგორიის პატენტით ვაჭრობს, გაეთანაბრება ამა დადგენილების მე-8 მუხლში აღნიშნულ შინამრეწველთა.

13. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ბინის ქირის გამოანგარიშების დროს სათვალავში მიიღება მთელი მათი სამუშაო საშოვარი, ზედმეტი ნამუშევარის გარდა, აგრეთვე სპეციალური დატვირთვის გარდა იმ პირებისათვის, რომელნიც შრომის სასყიდელს პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფით იღებენ. დაქირავებული მშრომელი პირი, რომელიც შეთავსებით მუშაობს და სპეციალურ განაკვეთს იღებს, აგრეთვე ის, ვინც თავისი მტკიცე განაკვეთის დამატებად ტანტიემას ან პროცენტულ გასამრჯელოს იღებს, ბინის ქირას გადაიხდის თავისი თვიური საშოვრის ერთობლივი რაოდენობის მიხედვით.

14. ბინის ქირა გამოიანგარიშება ოჯახის იმ წევრის სამუშაო საშოვრისა თუ შემოსავლის მიხედვით, რომელსაც ოჯახში ყველაზე დიდი სამუშაო ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი ან შემოსავალი აქვს; ამასთანავე, ამ სამუშაო საშოვრისა თუ შემოსავლის მიხედვით გადახდილ უნდა იქნეს ქირა ყველა იმ პირის საცხოვრებელი სივრცისათვის, ვინც მთლად ან ნაწილობრივ გადამხდელის რჩენაზეა.

ადგილობრივი საბჭოები დააწესებენ დიდოჯახიან გადამხდელთათვის, რომელნიც დაქირავებულ შრომას ეწევიან, და მათთან გათანაბრებულ კატეგორიებისათვის, ხოლო მე-5 მუხლში აღნიშნულთა გამოკლებით, ბინის ქირის მონაკლებს დიდოჯახიანობისათვის: თვითეულ იმ პირისათვის, რომელიც რჩენაზე იმყოფება, მესამიდან დაწყებული—10%-ს რაოდენობით, ხოლო არა უმეტეს 30%-სა; ამასთანავე რჩენაზე მყოფ პირთა რიცხვში არ შევა ისეთი პირი, რომელსაც თვეში 20 მან. მეტი დამოუკიდებელი სამუშაო საშოვარი აქვს.

15. დამქირავებელს უფლება აქვს გადაიხადოს ქირა წინა მუხლში აღნიშნული ბინის ქირის განაკვეთებით იმ საცხოვრებელი სივრცისათვის, რაც მას და მის რჩენაზე მყოფ ოჯახის წევრებს უქირავთ ადგილობრივი საბჭოს მიერ დაწესებული საცხოვრებელი სივრცის ნორმის ფარგლებში.

შენიშვნა საცხოვრებელი სივრცისათვის ქირის გადახდის სფეროში ოჯახის წევრად ითვლება: საცხოვრებელი სივრცის ქირის გადამხდელის მეუღლე, მასთან ერთად მცხოვრები და მის რჩენაზე მყოფი პირნი და აგოეთვე მისი შინა-მოსაკმე პირი.

16. მე-15 მუხლში გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი სივრცისათვის, რაც დამქირავებელს უქირავს, იგი გადაიხდის სათანადო საბინაო განაკვეთს არა უმეტეს, ვიდრე ერთი-სამად; ამასთანავე, უკეთუ დამქირავებელი მუშა ან მოსამსახურეა, ზედმეტი სივრცისათვის, რაც ოჯახზე დაწესებულ ნახევარ ნორმამდე არ აღწევს, ქირას იგი გადაიხდის ერთმაგი რაოდენობით.

შენიშვნა 1. დამატებითი ოთახისა და დამატებითი სივრცისათვის, რაც მოქალაქეთა ზოგიერთ კატეგორიას ეძლევა, დამქირავებელი გადაიხდის ბინის ქირის სათანადო განაკვეთს ერთმაგი რაოდენობით.

შენიშვნა 2. იმ თანხების 50% ს, რაც შემოვა ზედმეტი საცხოვრებელი სივრცისათვის, სახლის სამოურაო შეიტანს ადგილობრივი საბჭოს სალაროში ადგილობრივ ბიუჯეტში არსებული საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალების შესავსებად.

17. დადგენილება ესე ვრცელდება ყველა ნაციონალიზებულ, მუნიციპალიზებულ და კერძო მფლობელობის სახლზე ქალაქებში და დასახლებულ ქალაქადგილებში, იმ სახლების გამოკლებით, რაც აგებულია, აღდგენილია და დამთავრებულია აღნაგობის უფლების საფუძველზე, და აგრეთვე იმ სასტუმროების გამოკლებით, რომლებიც ქირავდება დღე-და-ღამობით დამქირავებელ მდგმურებზე, რისთვისაც არსებობს განსიკუთრებული ადგილობრივი ტარიფი.

II

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს სასწრაფოდ შეიმუშაონ და განახორციელონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი ან შემოსავალი აქვს; ამასთანავე, ამ სამუშაო საშოვრისა თუ შემოსავლის მიხედვით გადახდილ უნდა იქნეს ქირა ყველა იმ პირის საცხოვრებელი სივრცისათვის, ვინც მთლად ან ნაწილობრივ გადამხდელის რჩენაზეა.

ადგილობრივი საბჭოები დააწესებენ დიდოჯახიან გადამხდელთათვის, რომელნიც დაქირავებულ შრომას ეწევიან, და მათთან გათანაბრებულ კატეგორიებისათვის, ხოლო მე-5 მუხლში აღნიშნულთა გამოკლებით, ბინის ქირის მონაკლებს დიდოჯახიანობისათვის: თვითეულ იმ პირისათვის, რომელიც რჩენაზე იმყოფება, მესამიდან დაწყებული—10%-ს რაოდენობით, ხოლო არა უმეტეს 30%-სა; ამასთანავე რჩენაზე მყოფ პირთა რიცხვში არ შევა ისეთი პირი, რომელსაც თვეში 20 მან. მეტი დამოუკიდებელი სამუშაო საშოვარი აქვს.

15. დამქირავებელს უფლება აქვს გადაიხადოს ქირა წინა მუხლში აღნიშნული ბინის ქირის განაკვეთებით იმ საცხოვრებელი სივრცისათვის, რაც მას და მის რჩენაზე მყოფ ოჯახის წევრებს უჭირავთ ადგილობრივი საბჭოს მიერ დაწესებული საცხოვრებელი სივრცის ნორმის ფარგლებში.

შენიშვნა საცხოვრებელი სივრცისათვის ქირის გადახდის სფეროში ოჯახის წევრად ითვლება: საცხოვრებელი სივრცის ქირის გადამხდელის მეუღლე, მასთან ერთად მცხოვრები და მის რჩენაზე მყოფი პირნი და აგრეთვე მისი შინა-მოსაკმე პირი.

16. მე-15 მუხლში გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი სივრცისათვის, რაც დამქირავებელს უჭირავს, იგი გადაიხდის სათანადო საბინაო განაკვეთს არა უმეტეს, ვიდრე ერთი-სამად; ამასთანავე, უკეთუ დამქირავებელი მუშა ან მოსამსახურეა, ზედმეტი სივრცისათვის, რაც ოჯახზე დაწესებულ ნახევარ ნორმამდე არ აღწევს, ქირას იგი გადაიხდის ერთმაგი რაოდენობით.

შენიშვნა 1. დამატებითი ოთახისა და დამატებითი სივრცისათვის, რაც მოქალაქეთა ზოგიერთ კატეგორიას ეძლევა, დამქირავებელი გადაიხდის ბინის ქირის სათანადო განაკვეთს ერთმაგი რაოდენობით.

შენიშვნა 2. იმ თანხების 50%-ს, რაც შემოვა ზედმეტი საცხოვრებელი სივრცისათვის, სახლის სამოურაო შეიტანს ადგილობრივი საბჭოს სალაროში ადგილობრივ ბიუჯეტში არსებული საბინაო ფონდის სპეციალური კაპიტალების შესავსებად.

17. დადგენილება ესე ვრცელდება ყველა ნაციონალიზებულ, მუნიციპალიზებულ და კერძო მფლობელობის სახლზე ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში, იმ სახლების გამოკლებით, რაც აგებულია, აღდგენილია და დამთავრებულია აღნაგობის უფლების საფუძველზე, და აგრეთვე იმ სასტუმროების გამოკლებით, რომლებიც ქირავდება დღე-და-ღამობით დამქირავებელ მდგმურებზე, რისთვისაც არსებობს განსაკუთრებული ადგილობრივი ტარიფი.

II

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს სასწრაფოდ შეიმუშაონ და განახორციელონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებანი კერძო მფლობელობის სახლების თაობაზე, რამაც უზრუნველ უნდა ჰყოს სახლის პატრონების მიერ მიღებული ბინის ქირის სახლების შეკეთებაზე დახარჯვა, რათა საცხოვრებელი სივრცე დაცულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. აღამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ოქტომბრის 1. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 227 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 2-ს.

დადგენილება № 67 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

209. კომუნალური მშენებლობისა და სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობისათვის გასაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ა/კსფსრ სახალხო კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომ. საბჭ. საქმეთა მმართველის მოადგ. **ნ. სოკოლსკი.**

1928 წ. სექტემბრის 21. ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კომუნალური მშენებლობისა და სკოლების და საავადმყოფოების მშენებლობისათვის გასაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდის შესახებ.

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მომქ'ედ კომუნალურ ბანკებში, ამ ბანკების სპეციალური კაპიტალების სახით, არსდება კომუნალური მშენებლობისა და სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობისათვის გასაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდები.

2. ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნული ფონდები დანიშნულია, განსაკუთრებით შეღავათიან პირობებზე, სამაზრო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის საკრედიტო დახმარების გასაწევად, კომუნალური მეურნეობის სასანიტარო-სატეხნიკო საწარმოთა და სკოლათა და საავადმყოფოთა კაპიტალური რემონტისა, გაწყობისა, ხელახლად გაწყობისა და ახლად აშენებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კომუნალური მშენებლობისა და სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობისათვის გასაცემი გრძელვადიანი ფონდები შესდგება:

ა) ა/კსფსრ ბიუჯეტით გადადებული ყოველწლიური საბიუჯეტო ასიგნებებისაგან, დაწყებული 1928-29 საბიუჯეტო წლიდან;

ბ) აღნიშნული ბანკების წმინდა მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან, რის რაოდენობაც განისაზღვრება ბანკების წესდებების თანახმად, ხოლო არა ნაკლებ 10%-სა;

გ) ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან კომუნალური მშენებლობისათვის უკვე წინად გადადებული კრედიტებისაგან;

დ) აღნიშნული ფონდების საპროცენტო შემოსავლისაგან და სესხის ვადაზე შეუტანლობისათვის გადახდევინებული საურვისაგან;

ე) დანარჩენი სხვა შემოსავლისა და ასიგნებისაგან.

4. ფონდიდან სესხი გაიცემა მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის და შემდეგი პირობებით:

სესხის დანიშნულება	კრედიტის ვადები		დაფარვის წესი და რაოდენობა
	ახალმშენებ.	კაპ. რემონ.	
ა) კომუნალური მეურნეობა:			
1. წყალსადენი	15-დე	5 წლამდე	ერთი წლის შემდეგ მშენებლობის დამთავრებიდან, ხოლო არა უგვიანეს სამი წლისა სესხის გაცემის მომენტიდან ყოველწლიურად თანაბარი ნაწილებით (ანნუიტეტური სისტემა).
2. აბანო	10-დე	5 „	
3. სასაკლაო	10-დე	5 „	
4. სხვა კომუნალ. საწარმო	30-დე	5 „	
ბ) სკოლების მშენებლობა .	30-დე	10 „	
გ) საავადმყოფ. შენებ. . .	30-დე	10 „	

შენიშვნა. სესხის დაფარვის ვადები დამყარდება მსესხებლის ბიუჯეტის ძალოვნებისა და საკრედიტავი საწარმოს ხასიათის მიხედვით.

5. ფონდიდან გაცემული სესხის პროცენტი მსესხებლისათვის დაწესდება: კომუნალური მეურნეობისათვის 3%-დან 6%-დე წლიურად და სკოლებისა და საავადმყოფოებისათვის—1%-ს რაოდენობით წლიურად.

6. ამა დებულების მე-5 მუხლში აღნიშნული პროცენტებიდან 0,5% შევა ბანკის სასარგებლოდ მის მიერ აღნიშნული ფონდის ოპერაციებზე გაწეული ხარჯების დასაფარავად, ხოლო დანარჩენი ნაწილი პროცენტებისა ჩაირიცხება ფონდში.

7. სესხზე პროცენტის დარიცხვა სწარმოებს მსესხებლისათვის სესხის მიცემის მომენტიდან, ხოლო მსესხებლის მიერ იგი გადახდილ იქნება სესხის კაპიტალური ნაწილის შეტანასთან ერთად.

8. სესხი სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებ', მიეცემათ სავალო ვალდებულების ჩამორთმევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ფონდის სახსარს (საბიუჯეტო ასიგნები, კომუნალური ბანკების ანარიცხი, წინად გაცემული კრედიტების დასაფარავად დაბრუნებული სესხი და სხვა შემოსავალი) სხვადასხვა აღმასრულებელ კომიტეტებს შორის განაწილებს სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირი, რომელიც, ამა თუ იმ სახის კრედიტისათვის გასაცემი სესხის რაოდენობის განსაზღვრის დროს, სესხის გაცემის პირობებს დაადგენს ამა დებულების მე-4 და 5 მუხლ. თანახმად.

10. აღნიშნული ფონდიდან კრედიტის გაცემისათვის კომუნალური ბანკები ადგენენ წლიურ საოპერაციო გეგმებს სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, და ფონდის სახსარს ანაწილებენ ამ გეგმების მიხედვით, რისთვისაც სახელმძღვანელოდ იღებენ ეკონომიური თათბირის დადგენილებას ამა დებულების მე-9 მუხ. თანახმად.

11. სესხი გაიცემა არა უმეტეს, ვიდრე საკრედიტავი საგნის საერთო ღირებულების 75% რაოდენობით, ხოლო ცალკე შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, ეკონმიური თათბირის შეხედულებისამებრ, სესხი შეიძლება გაიცეს საგნის საერთო ღირებულების 100% რაოდენობით.

12. კომუნალურმა ბანკებმა თვალყური უნდა ადევნონ, რათა სახსარი იხარჯებოდეს მისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ, იხმარონ ღონისძიება, რომ მსესხებლებმა თავის დროზე შეიტანონ სესხის ხვედრი ნაწილი და პროცენტი და გადაახდევინონ მათ სესხის ვადაგადაცილებული შესატანი ნაწილი.

შენიშვნა. ა) კომუნალური ბანკის გამგეობას უფლება აქვს, უკეთუ ფონდიდან გაცემულ სახსარს მსესხებელი არ მიაქცევს პირდაპირი დანიშნულებისამებრ, მოსპოს შემდგომში კრედიტების მიცემა და, ამის გარდა, დაუყოვნებლივ გადაახდევინოს მსესხებელს წინად მიცებული სესხი.

ბ) უკეთუ მსესხებელი ვადაზე არ შეიტანს სესხის ხვედრ ნაწილსა და პროცენტებს, მასზე გადახდევინება მიიქცევა, სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრიდან გასაცემ სესხთა დებულების თანახმად, უდავო წესით.

13. აღნიშნული ფონდიდან გაცემული სესხი უნდა დაებრუნოს სათანადო კომუნალურ ბანკს და ჩაირიცხოს აღნიშნული ფონდის ანგარიშში.

14. ფონდიდან გაცემულ სესხთა გამო მომხდარი ზარალი დაიფარება ამავე ფონდის ხარჯით.

15. კომუნალური ბანკები აწარმოებენ ფონდის სახსარის განსაკუთრებულ აღნუსხვას, რისთვისაც თავიანთ ბალანსებზე გამოჰყოფენ სპეციალურ ანგარიშს როგორც პასსივში (კომუნალური მშენებლობისა და სკოლების და საავადმყოფოების მშენებლობისათვის გასაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდები), ისე აქტივში (აღნიშნული ფონდიდან გაცემული სესხი).

16. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები დასდებენ სათანადო კომუნალურ ბანკებთან ხელშეკრულებებს აღნიშნული ფონდების სახსართა რეალიზაციის თაობაზე ამა დებულების თანახმად.

17. ფონდების გამოუყენებელი სახსარისათვის კომუნალური ბანკები იხდიან 6% წლიურად, რასაც ფონდებში ჩარიცხავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. კომუნალური ბანკები ადგენენ ფონდების მდგომარეობისა და მოძრაობის ანგარიშგებას ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ განსაზღვრულ ვადაზე და ფორმით.

19. რევიზიას ფონდების სახსარიდან გაწეული ხარჯების სისწორისა და მეურნეობითი მიზანშეწონილობის თვალსაზრისით განახორციელებენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

20. კომუნალური ბანკების მიერ, ამა დებულების თანახმად, ნაკისრებ დავალებათა შესრულების პროცესში ჩადენილი, ყოველგვარი დარღვევა საერთო კანონმდებლობისა, სავალდებულო დადგენილებისა, ინსტრუქციებისა და დირექტივებისა, რაც-კი აღნიშნულ ფონდებს შეეხება, მიეწერება მთლად სათანადო კომუნალური ბანკების ანგარიშს.

21. კომუნალური მეურნეობისა და სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობისათვის გასაცემი გრძელვადიანი კრედიტის ფონდის ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით, რომელიც აგრეთვე დაადგენს ფონდის ლიკვიდაციის წესს.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 228 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 3-ს.

დადგენილება № 68 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

210. მუშა-ხელისა და საშენი მასალის საცნობო ფასების შეკრეფისა და გამოქვეყნების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი წესები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სასალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

1928 წ. სექტემბრის 21. ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუშა-ხელისა და საშენი მასალის საცნობო ფასების შეკრეფისა და გამოქვეყნების წესის შესახებ.

1. მუშა-ხელისა და საშენი მასალის საცნობო ფასები გამოიყენება სახელმძღვანელოდ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფარგლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოსათვის ხარჯთაღრიცხვისა და შეფასების ნუსხის შედგენის დროს.

შენიშვნა 1. იმ რაიონში, სადაც საცნობო ფასები არ იკრიფება, ხარჯთაღრიცხვის შედგენისათვის სახელმძღვანელოდ გამოყენებულ უნდა იქნეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისაგან (სამაზრო ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისაგან) მიღებული საცნობო ფასები.

შენიშვნა 2. ამა დებულების თანახმად გამოქვეყნებული ფასები სახელმძღვანელო როდია მშენებული მუშებისათვის სამუშაო ხელფასის კონკრეკრეტულად განსაზღვრის დროს.

2. მუშა-ხელისა და საშენი მასალის საცნობო ფასები შემუშავდება და გამოქვეყნდება საბიუჯეტო წლის თვითეული ნახევარწლისათვის.

3. მუშა-ხელისა და ჭაპანზიდვის ტრანსპორტის ფასების შესახებ ცნობების შეკრეფისა და გამოქვეყნებისათვის განისაღვრება შემდეგი წესი:

ა) ერთი თვით ადრე გამოქვეყნებული ფასების მოქმედების ვადის გასვლამდე სამშენებლო ზედამხედველობის ორგანოები შეაგროვებენ ცნობებს ადგილობრივი მშენებლობის ბაზარზე არსებული მუშა-ძალის განაკვეთების შესახებ; ამ ცნობებს, მშენებელთა კავშირში მომქმედი კოლექტიური ხელშეკრულებების ამონაწერებითურთ, ეს ორგანოები გაუგზავნიან სათანადო სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს არა უგვიანეს 15 დღისა აღნიშნულ ვადამდე.

შენიშვნა 1. მუშა-ხელის ფასის შესახებ ცნობების შეგროვების დროს სამშენებლო ზედამხედველობის ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ ის ცნობები, რასაც მიიღებენ ცალკე მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებლებისაგან და აგრეთვე მშენებელთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან.

შენიშვნა 2. ცნობები გაიცემა მუშათა დღიური განაკვეთის მიხედვით.

შენიშვნა 3. უკეთუ განსხვავება კოლექტიური ხელშეკრულებების განაკვეთებსა და მუშათა ადგილობრივ ბაზარზე შეგროვილ ფასებს შორის თვალსაჩინო იქნება, 20%-ზე მეტი, დართულ უნდა იქნეს სათანადო განმარტება, ამ განსხვავების მიზეზის აღნიშვნით.

ბ) ორი კვირით ადრე ფასების მოქმედების ვადის გასვლამდე სახელმწიფო-სამშენებლო ორგანიზაციები (სამშენებლო კონტორები) წარუდგენენ სათანადო სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს მათ ხელთ ქონებულ ცნობებს მუშა-ხელისა და ჭაპანზიდვის ტრანსპორტის ფასების შესახებ;

გ) ერთი კვირით ადრე გამოქვეყნებული ფასების მოქმედების ვადის გასვლამდე სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი, მიღებული ცნობების თანახმად, დაამთავრებს მუშა-ხელისა და ჭაპანზიდვის ტრანსპორტის საცნობო ფასების შემუშავებას;

დ) სამი დღით ადრე გამოქვეყნებული ფასების მოქმედების ვადის გასვლამდე სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი გამოაქვეყნებს ახალ ფასებს, მათი მოქმედების ვადის აღნიშვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. ჭაპანზიდვის ტრანსპორტის შესახებ შედგენილ ცნობებში შედის საზიდავის სამუშაო დღის ფასი და ტვირთის გადაზიდვის ღირებულება ტონნა-კილომეტრის ვარაუდით.

შენიშვნა 2. ახალი საცნობო ფასების გამოქვეყნებამდე მოქმედობს წინად გამოცხადებული ფასები.

4. საშენი მასალის საცნობო ფასების შესახებ ცნობების შეგროვებისა, შემუშავების და გამოქვეყნებისათვის განისაზღვრება შემდეგი წესი:

ა) საშენი მასალის ფასების შესახებ ცნობებს შეაგროვებენ სამშენებლო ზემხედველობის ადგილობრივი ორგანოები საქალაქო აღმასრ. კ-ტებთან არსებულ შინა-ვაჭრობის კომისიებთან ერთად და წარუდგენენ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს. ეს მუშაობა დაიწყება ერთი თვით ადრე და დამთავრდება სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტისათვის ცნობების გაგზავნით ორი კვირით ადრე გამოქვეყნებული საცნობო ფასების მოქმედების ვადის გასვლამდე.

შენიშვნა 1. საშენი მასალის შესახებ ცნობების შეგროვების დროს სამშენებლო ზედამხედველობის ორგანოები და აღმასრ. კომიტეტებთან არსებული შინა-ვაჭრობის კომისიები იხელმძღვანელებენ უმთავრესად სახელმწიფო საწარმოს, ტრესტისა, სინდიკატისა და კოოპერაციის ფასებს, რაც უახლოეს საწყობებში არსებობს, და ადგილობრივი წარმოების მასალების საქარხნო და სადასამზადებლო ფასებს, აგრეთვე სასაქონლო ბირჟისა და კერძო ბაზრის საკოტერო ფასებს.

შენიშვნა 2. მასალების ფასები წარდგენილ უნდა იქნეს იმის მიხედგით, თუ რა სავაჭრო საწარმონია: საბითუმო, ნახევრად საბითუმო, თუ ცალობითი, შემდეგი ფორმით:

ფორმა მასალების შესახებ ცნობების წარდგენისა:

მასალის სახელწოდ.	ზომა მეტრული ზომით.	თვლის ერთეული	ფასი მანეთობით			შენიშვნა
			საბითუმო	ნახევრად საბითუმო	ცალობითი	

ბ) ორი კვირით ადრე გამოქვეყნებული საცნობო ფასების მოქმედების ვადის გასვლამდე ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველონი მიაწვდიან სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტებს ცნობებს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის საშენ მასალაზე დაწესებული ფასების შესახებ;

გ) სამი დღით ადრე გამოქვეყნებული ფასების მოქმედების ვადის გასვლამდე სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტები გამოაქვეყნებენ ახალ ფასებს, მათი მოქმედების ვადის აღნიშვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საშენი მასალისა და კვალიფიციური მუშა-ძალის ნომენკლატურა დაწესდება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც, ამა დებულების განსავითარებლად, შეიმუშავებს ამიერკავკასიის სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტი, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტებთან, აგრეთვე ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან—საშენი მასალის გამო—და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან—კვალიფიციური მუშა-ძალის გამო—შეთანხმებით.

6. საშენი მასალისა და კვალიფიციური მუშა-ძალის საცნობო ფასები სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 229 №-ში 1928 წლის ოქტომბრის 4.

დადგენილება № 130 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1928 წ. სექტემბრის 7.

211. სახალხო მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების აღნუსხვის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ივნისის 25-ს თარიღისა და 426 №-ის დადგენილება „სახალხო მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების აღნუსხვის მოწყობის შესახებ“ (გამოქვეყნებულია „სსრკ კენ. აღმ. კომიტეტისა და სრულიად რუსეთის ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 193/3427 №-ში 1928 წ. აგვისტოს 21-ს).

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო ტომისარიატები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ აღნიშნულ პირთა აღნუსხვის განხორციელებას იმ ვადების შესრულებით, რაც აღნიშნულია სახალხო მეურნეობის სპეციალისტების აღნუსხვის სახელმძღვანელოში.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

სტატისტიკური განყოფილების გამგე **სიმხოვიჩი.**

საერთო-საორგანიზაციო განყოფ. გამგე **ათაბეკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 229 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 134 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. სექტემბრის 24.

212. 1928-29 წლის პირველი ნახევარწლისთვის დაწესებულებასა და საწარმოში სპეციალისტთა შრომის სასყიდლის გასაცემად სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაარსების წესის შესახებ.

1927-28 წლისთვის სპეციალისტების შრომის სასყიდლის გასაცემად დამტკიცებული სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების მოქმედების ვადის გასვლის გამო ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საამიერკავკასიო მნიშვნელობის საწარმოთა, დაწესებულებათა და შერეულ საქციო საზოგადოებათა სათავეში მდგომ ყოველ პირს წარუდგინოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, არა უგვიანეს 1928 წ. ოქტომბრის 25-სა, განცხადება სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდის შესახებ 1928-29 საბიუჯეტო წლის პირველი ნახევარწლისთვის ორ ცალად; ამასთანავე ერთ ცალს უწყება უშუალოდ სათანადო პროფესიონალური კავშირს გაუგზავნის დასკვნისათვის.

2. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა, დაწესებულებათა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა სათავეში მდგომ ყოველ პირს წარუდგინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატს, არა უგვიანეს 1928 წ. ოქტომბრის 25-სა, განცხადება სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდის შესახებ ორ ცალად; ამასთანავე ერთი ცალი გაეგზავნება სათანადო პროფესიონალურ კავშირს დასკვნისათვის.

3. დადგენილება ესე არა ვრცელდება იმ დაწესებულებასა და საწარმოზე, სადაც განხორციელებულია სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმება, ან სათანამდებობო ჯამაგირების სისტემა კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით, ან და განსაკუთრებული სატარიფო ქსელი სპეციალისტებისათვის.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **შახსუვარიანი**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სატარ.-საკონფ. განყ. გამგის მაგიერ **მუსაშჩიკოვი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგან. განყოფ. გამგე **ათაბეკოვი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 229 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 137 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ოქტომბრის 4.

213. სამუშაო ხელფასის კრედიტების მდგომარეობის თაობაზე ცნობების წარდგენის წესის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

წინადადება მიეცეს საამიერკავკასიო მნიშვნელობის ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, სადაც-კი განხორციელებულია სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა, წარადგინოს ხოლმე ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში „Г“ ფორმის მიხედვით ცნობები სამუშაო ხელფასის კრედიტების მდგომარეობის თაობაზე ყოველი კვარტალის გასვლის შემდეგ. *)

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მაგიერ **ბახსუვარიანი.**

ა/კ შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგ. განყ. გამგე **ათაბეკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 230 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 5-ს.

დადგენილება № 117 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

214. სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ „ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო სოციალური წესით უზრუნველყოფის წესების დამტკიცების თაობაზე“ 1928 წ. ივლისის 4-ს თარიღითა და 396 №-ით გამოცემული დადგენილების ა/კსფსრ ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1928 წ. ივლისის 4-ს თარიღისა და 396 №-ის დადგენილება „ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო სოციალური წესით უზრუნველყოფის წესების დამტკიცების შესახებ“ („სსრკ შრ. სახ. კ-ტის „იზვესტია-“ს 1928 წ. 28—29 №-რი).

---

*) ფორმა გამოქვეყნებულ იქნება „შრომის კანონმდ. ვესტნიკ„-ის მე-17 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. 1928 წ. ივლისის 1-დან გაუქმებულია ა/კ. შრ. სახ. კ-ტისა და ა/კ. შრ. სახ. კ-ტან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს შემდეგი დადგენილებანი და განკარგულებანი:

1. ა/კ. შრ. სახ. კ-ტთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს 1925 წ. ნოემბრის 16-ს ინსტრუქცია „პენსიის დანიშვნის შესახებ“ („ა/კ. შრ. სახ.კ-ტის შრ. კანონმდ. ვესტნიკ“-ის 1925 წ. 21 №-რი).

2. ა/კ. შრომის სახ. კ-ტის 1924 წ. აპრილის 5-ს თარიღისა და 91 №-ის დადგენილება „უზრუნველყოფის ნორმების განსაზღვრის შესახებ შრომის ინვალიდებისათვის, რომელთა მყარი შრომის უნარდაკარგულობა წარმოსდგა შრომის დროს დაშავების გამო, აგრეთვე დაშავებისაგან გარდაცვალებული მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის“ („ა/კ. შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1924 წ. მე-8 №-რი).

3. ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1924 წ. ივლისის 5-ს თარიღისა და 110 №-ის დადგენილება, რომლითაც შევსებულია და დამატებული ა/კ. შრომის სახალხო ? ომისარიატის 1924 წ. აპრილის 5-ს თარიღისა და 91 №-ის დადგენილება „უზრუნველყოფის ნორმების შესახებ შრომის ინვალიდებისათვის, რომელთა მყარი შრომის უნარდაკარგულობა წარმოსდგა შრომის დროს დაშავების გამო, აგრეთვე დაშავებისაგან გარდაცვალებული მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის“ („ა/კ. შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1924 წ. მე-11 №-რი).

4. ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1925 წ. მარტის 9-ს თარიღისა და მე-20 №-ის ცირკულიარი „სოციალური სამმართველოს დაზღვევის პენსიონერთა მოძრაობის შესახებ“ („ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრ. კანონმდ. ვესტნიკ“-ის 1925 წ. მე-4 №-რი).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვ. მთავარ სამ-
მართველოს უფროსი **ბანოვიჩი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 230 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 6-ს.

ცირკულიარი № 24 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აგვისტოს 25.

215. 1927-28 წლის ბალანსების დამთავრების დროს ზედმეტი მუშაობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

საწარმოთა და დაწესებულებათა 1927-28 წლის წლიური ბალანსების დამთავრების პერიოდის მოახლოვების გამო ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი, წინად გაცემული დირექტივების შესაბამისად, წინადადებას იძლევა, რათა მიღებულ იქნეს ყოველი სათანადო ღონისძიება ზედმეტი მუშაობის შემცირებისათ-

ვის. კერძოდ, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა სრულიად არ იქნეს გამოყენებული ბალანსების დამთავრების დროს ზედმეტი მუშაობა მოანგარიშე მომუშავეებისა, მეკონტორეებისა, მემანქანეებისა და სხვა დამხმარე თანამშრომლებისა.

ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვეული იქნება ზედმეტი მუშაობის შეფარდების წესები, დამნაშავე პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული სასამართლო წესით.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის დაცვის განყოფ.
გამგის თანამდ. დროებით აღმ. **შახნაზაროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 231 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 6-ს.

დადგენილება № 124 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აგვისტოს 28.

216. დიდი ქალაქების გარეშე მყოფ სახელმწიფო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მუშაობაში სპეციალისტების ჩაბმისათვის სათანადო ღონისძიებათა მიღების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ივნისის 18-ს თარიღისა და 357 №-ის ცირკულიარი „დიდი ქალაქების გარეშე მყოფ სახელმწიფო სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მუშაობაში სპეციალისტების ჩაბმისათვის სათანადო ღონისძიებათა მიღების თაობაზე" გამოცემული სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივნისის 20-ს დადგენილების შეფარდების წესის შესახებ (გამოქვეყნებულია „სსრკ შრ. სახ. კ-ტის „იზვესტია"-ს 30-31 №-ში, გვ. 457—459).

2. ა/კსსფრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს უფლება აქვთ, სათანადო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, შეაფარდონ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის ზემოაღნიშნული—1928 წ. ივნისის 18-ს თარიღისა და 357 №-ის—ცირკულიარის მე-7 მუხლი.

3. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისთანავე უქმდება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. აპრილის 28-ს თარიღისა და 75 №-ის დადგენილება.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი **სიზოტენკო.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგ. განყ. გამგე **ათაბეკოვი.**

შეთანხმებულია: ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოს
თავმჯდ. მაგიერ **შეფტელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 231 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 6-ს.

დადგენილება № 126 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აგვისტოს 30.

217. სასარეწაო კოოპერატიული ამხანაგობებისა და არტელებისათვის იმ უმუშევართა ხვედრი დახმარების გადაცემის შესახებ, რომელნიც შევლენ ამ ამხანაგობებსა და არტელებში.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1928 წ. ივლისის 26-ს თარიღისა და 148 №-ის დადგენილება „სასარეწაო კოოპერატიული ამხანაგობებისა და არტელებისათვის იმ უმუშევართა ხვედრი დახმარების გადაცემის შესახებ, რომელნიც შევლენ ამ ამხანაგობებსა და არტელებში"—(გამოქვეყნებულია სრულიად საკავშირო პროფ. კავშირთა საბჭოს გაზ. „ტრუდ"-ის 193/2229 N-ში 1928 წ. აგვისტოს 21-ს).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვ. მთავ. სამმართ. უფროსი **ბანოვიჩი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 231 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 6-ს.

ცირკულიარი № 26 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. სექტემბრის 12.

218. საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებასა და საწარმოსთან სოციალური დაზღვევისათვის შესატანი გადასახადის გამო ანგარიშის გასწორების წესის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა—საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებასა და საწარმოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან სოციალური დაზღვევისათვის შესატანი გადასახადის გამო ანგარიშის გასწორების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნეს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, შრომის სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო ბანკის გამგეობის ცირკულიარი—ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1928 წ. ივლისის 12-ს თარიღისა და 666 №-ისა, შრომის სახალხო კომისარიატის—401 №-ისა და სახელმწიფო ბანკის ივლისის 16-ს თარიღისა და 355 №-ისა (გამოქვეყნებულია გაზ. „ტრუდ"-ის 206 (2242) №-ში ა/წ. სექტემბრის 5-ს)

ა/კ. შრ. სახ. კომისრის მოადგილე და სოც.
დაზღვ. მთავარ სამმართველოს უფროსი **ბანოვიჩი.**

სოც. დაზღვ. მთავარ სამმართველოს საფონდო
განყოფილების გამგე **სოკოლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 233 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 9-ს.

ცირკულიარი № 29 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ოქტომბრის 8.

219. საინვალიდო დაწესებულებებში პენსიონერთა შენახვის გამო დამზღვევ სალაროთა შორის ხელახლად ანგარიშის გასწორების მოსპობის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. აგვისტოს 23-ს თარიღისა და 487 №-ის ცირკულიარი„ საინვალიდო დაწესებულებებში პენსიონერთა შენახვის გამო დამზღვევ სალაროთა შორის ხელახლად ანგარიშის გასწორების მოსპობის შესახებ" (გამოქვეყნებულია გაზ. „ტრუდ"-ის (213) 2249 №-ში 1928 წ. სექტემბრის 13-ს).

ა/კ. შრ. სახ. კომისრის მოადგილე და სოც.
დაზღვ. მთავარ სამართველოს უფროსი **ბანოვიჩი.**

ა/კ. სოც. შრ. სახ. კ-ტის დამზღვ. მთავ. სამმართვ.
საორგან. განყ. გამგე **ევანგულოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 233 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

220. ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის მოადგილედ ა. გ. რუხაძის დანიშვნის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველის მოადგილედ დანიშნულ იქნეს საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მმართველი არჩილ გერმანის-ძე რუხაძე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. აღამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. თალიევი.**

1928 წ. ოქტომბრის 9. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 234 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 10-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

221. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის თაობაზე“ 1928 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის „ა„ პუნქტის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ა/კსფსრ ქალაქებსა და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის შესახებ“ გამოცემულ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-4 მუხლის „ა“ პუნქტს („ზარია ვოსტოკა“-ს 227 №-რი 1928 წ. ოქტომბრის 2-სა) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ ქალაქებსა და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის შესახებ“ 1928 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ბინის ქირის ძირითადი განაკვეთი საცხოვრებელ სივრცის 1 კვადრ. მეტრზე ქალ. ბაქოსთვის დაწესდეს იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელთაც სამუშაო საშოვარი აქვთ 110 მანეთიდან 145 მანეთამდე—ამრიცხვითურთ.“

ამიერკავასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ი. თალიევი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

1928 წ. ოქტომბრის 19. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 244 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 27-ს.

დადგენილება № 144 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ოქტომბრის 19.

222. სპეციალისტებისათვის ზე-მაქსიმალური ჯამაგირების მიცემის თაობაზე განცხადებების წარდგენის შესახებ.

რადგანაც მოახლოებულია უკანასკნელი ვადა სპეციალისტების შრომის სასყიდლისათვის არსებული სპეციალური ფონდის თაობაზე განცხადებების წარდგენისა (ა/კსფსრ შრომის სახ. კ ტის 1928 წ. ოქტომბრის 4-ს თარიღისა და 134 №-ის დადგენილება—„ზარია ვოსტოკა“-ს 229 №-რი) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. უკეთუ ვადაზე არ იქნება წარდგენილი განცხადება იმ პირთა შრომის სასყიდლის შესახებ, რომელნიც, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის აპრილის 7-ს თარიღისა და მე-6 №-ის დადგენილების მე-6 მუხლის წესისამებრ, ზე-მაქსიმალურ ჯამაგირებს იღებენ, ეს ზემაქსიმალური ჯამაგირები დამტკიცებულ იქნება არა საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან, არამედ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში განცხადების წარდგენის დღიდან.

2. ზე-მაქსიმალური ჯამაგირების დამტკიცებამდე სპეციალისტების განაკვეთი არ შეიძლება 360 მანეთის აღემატებოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესებულებისა და საწარმოს სათავეში მდგომი პირი, რომელიც თავის დროზე განცხადებას არ წარადგენს, აგრეთვე ის, ვინც ზე-მაქსიმალურ ჯამაგირს (360 მან. მეტს) გასცემს ასეთი ჯამაგირის საბოლოო დამტკიცებამდე, პასუხისგებაში იქნება მიცემული, როგორც შრომის კანონთა დარღვევისათვის.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

ა/კსფსრ შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი და
სატარიფო-საკონფლ. განყ. გამგე **სიზოტენკო**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საერთო-საორგ. განყ. გამგე **ათაბეკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 244 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 21-ს.

დადგენილება № 143 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ოქტომბრის 19.

223. შრომის კონფლიქტების სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო წესით განხილვის წესების შეფარდების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ოქტომბრის 10-ს თარიღისა და 595 №-ის დადგენილება „შრომის კონფლიქტების სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო წესით განხილვის წესების შეფარდების შესახებ".

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბანოვიჩი.**

ა/კ. შრომის სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი და ა/კ.
შრ. სახ. კ-ტის სატარ.-საკონფ. განყ. გამგე **სიზოტენკო**

შეთანხმებულია ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან **ხარაბაძე.**

დადგენილება № 595 სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ოქტომბრის 10.

შრომის კონფლიქტების სამომრიგებლო-სამედიატორო და სასამართლო წესით განხილვის წესების შეფარდების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „შრომის კონფლიქტების სამომრიგებლო-სამედიატორო და სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლო წესით განხილვის წესების დამტკიცების შესახებ“ 1928 წ. აგვისტოს 29-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 56 № რი, მუხ. 494) დადგენილების მე-3 მუხ. თანახმად, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი, სრულიად საკავშირო პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებითა, ადგენს:

1. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში და შრომითი საქმეების განმხილველ სესიებში 1928 წ. დეკემბრის 1-დე შესული კონფლიქტებისათვის ვადა კონფლიქტის განხილვის შესახებ განცხადების შეტანისა (სარჩელის ხანდაზმულობის ვადა) იანგარიშება იმ კანონების მიხედვით, რაც მოქმედობდა „შრომის კონფლიქტების სამომრიგებელო-სამედიატორო და სასამართლო წესით განხილვის წესების“ სამოქმედოდ შემოღებამდე.

2. იმ კონფლიქტს, რომლითაც მოთხოვნის წარდგენის უფლება წარმოიშვა 1928 წ. დეკემბრის 1-დე, ხოლო რომელიც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში და შრომითი საქმეებს განმხილველ სესიაში შევა 1928 წ. დეკემბრის 1-დან, კონფლიქტის განხილვის შესახებ განცხადების შეტანისათვის შეეფარდება „წესები“-ს მე-15 და 50 მუხლებში აღნიშნული ვადა, ხოლო ამ ვადის დაწყების დღედ ჩაითვლება 1928 წ. დეკემბრის 1-ლი (იმ მომენტების ნაცვლად, რაც „წესები“-ს მე-16 და 51 მუხლებშია აღნიშნული).

იმ კონფლიქტისათვის, რომლითაც მოთხოვნის წარდგენის უფლება წარმოიშვა 1928 წ. დეკემბრის 1-ლს, ან ამაზე გვიან, კონფლიქტის განხილვის შესახებ განცხადების შეტანის ვადა, რაც „წესები“-ს მე-15 და 50 მუხლებშია აღნიშნული, ჩაითვლება „წესები“-ს მე-16 და 51 მუხლებში აღნიშნული მომენტებიდან.

3. „წესები“-ს 39 მუხლით დადგენილი 14 დღის ვადა შრომის ორგანოში განცხადების შესატანად—ზედამხედველობის წესით იმ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რაც 1927 წ. დეკემბრის 1-დე გამოიტანა და დაინტერესებულ მხარეს აცნობა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიამ, მომრიგებელმა კამერამ და სამედიატორო სასამართლომ, აგრეთვე ვადა შრომის ზემდგომ ორგანოში განცხადების შესატანად—შრომის ორგანოს მიერ 1928 წ. დეკემბრის 1-დე ზედამხედველობის წესით გამოტანილი და შეტყობინებული დადგენილების გაუქმების შესახებ—ითვლება 1928 წ. დეკემბრის 1-დან.

4. დადგენილება ესე არ შეიძლება საფუძვლად დაედვას იმ ვადის განგრძობას, რაც, „წესები“-ს სამოქმედოდ შემოღებამდე მომქმედი კანონით, უნდა გასულიყო იმ ვადაზე ადრე, რომელიც დაწესებულია ამა დადგენილებით.

5. „წესები“-ს მე-12 მუხლით განსაზღვრული პირობა ზოგიერთი კონფლიქტის აუცილებლად შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში განხილვის შესახებ არა ვრცელდება ისეთ კონფლიქტზე, რაც განსახილველად მიღებული აქვს შრომითი საქმეების განმხილველ სესსიას 1928 წ. დეკემბრის 1-დე. ამისდა შესაბამისად „წესები“-ს მე-12 მუხლის პირობის შეუსრულებლობა არ შეიძლება სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძვლად დაედვას შრომითი საქმეების განმხილველი სესიის მიერ აღნიშნული კონფლიქტის გამო მიღებული გადაწყვეტილების განსაჩივრებას ან განპროტესტებას.

სსრკ შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ტოლსტოპიატოვი.**

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის
კოლეგიის წევრი **ავდეევი.**

შეთანხმებულია სრულიად საკავშირო
პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან: **გინზბურგი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 245 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 23-ს.

დადგენილება № 146 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ოქტომბრის 22-ს.

224. იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელნიც თავდაცვისა და საავიაციო-საქიმიო მშენებლობის მეგობართა საკავშირო საზოგადოების ლოტერეით მოიგებენ ადგილს სანატორიუმში ან სამოგზაუროდ, ჯამაგირის შეუნარჩუნებლად რიგს-გარეშე შვებულების მიცემის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ოქტომბრის 11-ს თარიღისა და 596 №-ის დადგენილება „იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომელნიც თავდაცვისა და საავიაციო-საქიმიო მშენებლობის მეგობართა საკავშირო საზოგადოების ლოტერეით მოიგებენ ადგილს სანატორიუმში ან სამოგზაუროდ, ჯამაგირის შეუნარჩუნებლად რიგს-გარეშე შვებულების მიცემის შესახებ".

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ათაბეკოვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან: **ხარაბაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 249 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 27-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 147 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ოქტომბრის 22.

225. სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის საფუძველზე მომქმედი საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის კრედიტების მდგომარეობის თაობაზე ა/კსფსრ შრომის სახალხოკომისარიატში ცნობების წარდგენის წესის გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ოქტომბრის 4-ს თარიღისა და 137 №-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 230 №-რი) გასაუქმებლად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

გაუქმებულ იქნეს წარდგენა ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში „Г" ფორმით კვარტალური ცნობებისა სახელმწიფოებრივი დანორმვის საფუძველზე მომქმედი საამიერკავკასიო მნიშვნელობის დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის კრედიტების მდგომარეობის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. კ-ტის კოლეგიის წევრი და სატარიფო-
საკონფლ. განყ. გამგე **სიზოტენკო.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 249 №-ში 1928 წ. ოქტომბრის 27-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 230. დაიბეჭდა 1.000.